ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

დადგენილება:**დ-67. 6723209001**

თარიღი:**28/07/2023**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №10

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N 177 დადგენილების, საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის 84^1 და 84^2 მუხლებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი დანართი N 1 -ის შესაბამისად.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 45 დადგენილება (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge., 05.08.2015წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.124.016161).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი